კავკასიის ტურიზმის სკოლა (CTS)

მოდის სახლი „ANOUKI”-ის სოციალური მედიისა და ელ. კომერციის მენეჯერი

“მოდის ინდუსტრიით ბავშვობიდან ვიყავი დაინტერესებული, თუმცა ამ მიმართულებით განათლების მიღება ქართულ საგანმანათლებლო სასწავლებლებში ფაქტობრივად შეუძლებელია, შესაბამისად არჩევანი გავაკეთე ისეთ პროგრამაზე, რომელიც მომცემდა შესაძლებლობას, რომ განათლება მიმეღო სხვადასხვა საინტერესო და აქტუალური მიმართულებებით. ასეთი აღმოჩნდა კავკასიის ტურიზმის სკოლა.

უნივერსიტეტში სწავლის პირველ კურსზე გადავწყვიტე, რომ შემექმნა მოდის ბლოგი - Date with Versace, რომლის მეშვეობითაც შევძელი მილანის მოდის კვირეულზე მოხვედრა და გლობალური მოდის ბრენდებთან კომუნიკაციის დამყარება. ამის პარალელურად, უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა მუდმივად მეხმარებოდა, სწორი სეგმენტის განსაზღვრასა და ბლოგის კონკურენტული უპირატესობების. ჩამოყალიბებაში

სამოყვარულოდ შექმნილი ბლოგი გახდა იმის საწინდარი, რომ გადავწყვიტე სწორედ ამ ინდუსტრიაში გამეგრძელებინა მუშაობა. დღეს მოდის სახლ „ანუკის“ სოციალური მედიისა და ელ. კომერციის მიმართულებებს ვხელმძღვანელობ, პარალელურად კი კვლავ ვაგრძელებ ჩემი ბლოგის საქმიანობას, რომელიც მუდმივად მაძლევს შესაძლებლობას, რომ გლობალურ მოდის ინდუსტრიაში დასაქმებულ ადამიანებთან დავამყარო კომუნიკაცია და უფრო ახლოდან შევიცნო ინდუსტრიაში არსებული სიახლეები და გამოწვევები.”